



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 125

2014 წლის 04 ფებრუარი

ქ. თბილისი

ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვისა და უცხოეთში
მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014
წლის კონკურსში წარმოდგენილი ზოგიერთი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით
დამტკიცებული „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო
გრანტების დებულების“ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2011
წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი
კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების დებულების“ მე-8 მუხლის მე-3
პუნქტისა და „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით სახელმწიფო
გრანტის დებულების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული
წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ფონდის სამეცნიერო საბჭოს 28
ნოემბრის N15 სხდომისა და საგრანტო პროექტის FR/361/3-109/14 სამეცნიერო
ხელმძღვანელის 2014 წლის 2 თებერვლის N965157 წერილის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვისა და უცხოეთში
მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014
წლის კონკურსიდან მოიხსნას დანართით გათვალისწინებული საგრანტო პროექტები.

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს - თამარ ბოკუჩავას წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე www.rustaveli.org.ge;

3. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6)

მარინე ჩიტაშვილი



N	პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	მოხსნის საფუძველი
ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები			
1	FR/575/8-313/14	აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვების ელექტროენცეფალოგრაფიული მახასიათებლები და მათი კლინიკური მნიშვნელობა	არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება)
2	FR/479/2-201/14	სტიგმა და თვითსტიგმატიზაცია ეპილეფსიის მქონე მოზარდ გოგონებში	
3	FR/28/1-10/14	საქართველოს მთის მოსახლეობა XIX საუკუნის გერმანულ წყაროებში	
4	FR/301/10-100/14	სამეცნიერო ბაზის შექმნა საქართველოში სელის წარმოების რეაბილიტაციისათვის	
5	FR/491/6-170/14	იმპულსური ბმრ სპექტროსკოპია ნებისმიერი რადიოსიხშირული და მაგნიტური იმპულსების აგზნებისას სპინურ პროცესორებში, დისტანციურ ზონდირებაში, ნანომაგნეტიკებსა და სპინტრონიკაში გამოსაყენებლად	არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N36 ბრძანებით დამტკიცებული „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.
6	FR/106/1-10/14	გურიის პრეისტორიული და ისტორიული მემკვიდრეობა	აღნიშნული საგრანტო პროექტების საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N36 ბრძანებით დამტკიცებულ საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებს.
7	FR/83/1-60/14	ბედენის კულტურის ფორმირების საკითხისათვის (ძვ. წ. III ათასწლეული)	
8	FR/488/2-105/14	აღმოსავლეთ საქართველო კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურათა სისტემაში	
9	FR/367/3-108/14	საპროექტო გადაწყვეტილებათა ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწისქვეშა სივრცის ათვისებისას	
10	FR/363/3-108/14	სატრანსპორტო გვირაბების უსაფრთხო ექსპლოატაციის ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა	
11	FR/79/8-338/14	სისხლძარღვთა ენდოთელიალური ზრდის ფაქტორის და მისი რეცეპტორების მნიშვნელობა შარდის ბუშტის კიბოს დროს	
12	FR/499/8-338/14	სისხლძარღვთა ენდოთელიალური ზრდის ფაქტორის და მისი რეცეპტორების მნიშვნელობა პროსტატისა და თირკმლის კიბოს დროს	

13	FR/528/3-250/14	მაღალი მგრძობიარობის სიხშირული სენსორების დამუშავება დისტანციური მონიტორინგის ამოცანებისათვის - გარღვევა მეტროლოგიის ფუნდამენტურ პრობლემაში	არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N36, N37 ბრძანებითა და 2014 წლის 06 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესებს, რომელთა თანახმად დაუშვებელია ერთი და იგივე პირი ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობას იღებდეს ზემოაღნიშნულ კონკურსებში წარმოდგენილ ორზე მეტ პროექტში, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით ერთზე მეტ პროექტში.
14	FR/484/2-151/14	სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოში	
15	FR/581/6-520/14	ადამიანის, შინაური ცხოველების, სხვადასხვა მასალების და ნაკეთობების დასაცავად გამიზნული ბიოაქტიური ჰიბრიდული ნაერთების და მოლეკულურ-ბიოლოგიური დამცავი საფრების განვითარება	
16	FR/361/3-109/14	საქართველოს მდინარეების სანიტარულ-ეკოლოგიური წყლის ხარჯების განსაზღვრა	
გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები			
17	AR/216/10-150/14	აჭარა-გურიის რეგიონში გავრცელებული ჩხავერისგან მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების დამზადების ტექნოლოგიები	არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს (აღნიშნული საგრანტო პროექტების თანადადამფინანსებელი არის ინდემწარმე)
18	AR/204/10-150/14	ვარდკაჭასა და ტოპინამბურის გამოყენებით ინჟინინის შემცველი ვალეოლოგიური და დიაბეტური კვების პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიების შემუშავება	
19	AR/203/10-100/14	ზეთისხილის ყინვაგამძლე ჯიშების შემოტანა და გავრცელება აჭარაში	
20	AR/125/4-142/14	ქრონიკული ნევროლოგიური მდგომარეობებისთვის ელექტრონული სამედიცინო დოკუმენტაციისა და ინტერნეტ-მენეჯმენტის სისტემის მოდელის შექმნა	არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების“ მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N37 ბრძანებით დამტკიცებული „გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს
21	AR/114/9-157/14	ცივ-გომბორის ქედის დეტალური გეოლოგიურ-სტრუქტურული შესწავლა მისი ნავთობ-გაზიანობის პერსპექტივების შეფასების მიზნით	აღნიშნული საგრანტო პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N37 ბრძანებით დამტკიცებულ საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებს.
22	AR/169/1-30/14	ქართულ ქარაგმათა სიმფონია-ლექსიკონი	
23	AR/38/2-103/14	საქართველოს შესახებ დასავლეთევროპული შუა საუკუნეების წყაროების (XIII-XVI სს.) ვებ-პორტალი	არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 29 აპრილის N36, N37

24	AR/242/3-180/14	სხვადასხვა კლასის საკვლევი ზანების და ჰიდროფობიზატორის გამოყენება ნარჩენი ნავთობის მოდინების ინტენსიფიკაციის მიზნით	ბრძანებებითა და 2014 წლის 06 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესებს, რომელთა თანახმად დაუშვებელია ერთი და იგივე პირი ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობას იღებდეს ზემოაღნიშნულ კონკურსებში წარმოდგენილ ორზე მეტ პროექტში, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით ერთზე მეტ პროექტში.
უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსიდან მოხსნილი პროექტები			
25	DI/47/4-140/14	სუბპიკომპეტრული სიზუსტის მქონე მეთოდის შემუშავება სიგრძის ერთეულის განსაზღვრების პრაქტიკული რეალიზაციისათვის	არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის 2014 წლის კონკურსის წესის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.
26	DI/8/6-300/14	ბრუნვის რელატივისტური ეფექტები და არაწრფივი პლაზმური მოვლენები მზრუნავ სისტემებში	აღნიშნული საგრანტო პროექტების ბიუჯეტები არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის 2014 წლის კონკურსის წესის“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს
27	DI/7/4-140/14	კორონარული ანგიოგრაფიის სასწავლო სისტემა	აღნიშნული საგრანტო პროექტების ბიუჯეტები არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული
28	DI/31/7-240/14	საქართველოში გავრცელებული ნემატოდების ბიომრავალფეროვნების შესწავლა და მათი გენეტიკური იდენტიფიცირება	აღნიშნული საგრანტო პროექტის საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებულ საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებს
29	DI/6/10-140/14	რესურსდაზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება გუთნების საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდისათვის	აღნიშნული საგრანტო პროექტის ბიუჯეტები არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმებს
30	DI/40/1-31/14	ძველქართული სასულიერო მწერლობის და ძველი ქართული ენის ინტერნეტ-ბაზა (ბიბლიოგრაფია)	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა არ შეესაბამება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 6 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესის მე-3 მუხლის, მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს